

შემსრულებელ-ილუსტრატორი (კონცერტმასტერი) - 080553

პროფესიული სტანდარტი

I. სფეროს აღწერა

შემსრულებელ-ილუსტრატორი (კონცერტმასტერი) პროფესია მუსიკალური შემსრულებლობის და განათლების განუყოფელი ნაწილია. ამ პროფესიაზე საზოგადოებაში მაღალი მოთხოვნაა, ვინაიდან ილუსტრატორი/კონცერტმასტერი არის საჭირო როგორც სამუსიკო განათლების სფეროში, ასევე შემსრულებლობის პროცესში: კლასში, საკონცერტო ესტრადაზე, მუსიკალურ თეატრებში, საგუნდო და ქორეოგრაფიულ კოლექტივებში. ილუსტრატორის/კონცერტმასტერის პროფესიული საქმიანობა სვადასხვა სპეციალობის მუსიკოსის აღზრდის პროცეს თან ახლავს დაწყებული სკოლისგარეშე სასწავლო მუსიკალური დაწესებულების პირველივე კლასიდან. იგი უშუალოდ მონაწილეობს მოსწავლეების (ინსტრუმენტალისტების, ვოკალისტების, დირიჟორების, მოცეკვავეების) პროფესიულ მომზადებაში, ეხმარება მუსიკალური ნაწარმოებების დასწავლაში კლასში, აკომპანიატორობას უწევს რეპეტიციებზე და საკონცერტო გამოსვლების დროს. იცნობს თავისი ინსტრუმენტისთვის (ფორტეპიანო, ვიოლინო, გიტარა და სხვ.) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რეპერტუარს, საკონცერტმასტერო მუშაობის პრინციპებს, შეუძლია მუსიკალური ნაწარმოების შესრულება ფურცლიდან და სანოტო ტექსტის ტრანსპონირება. ილუსტრატორი/კონცერტმასტერი აზიარებს მოსწავლეებს მუსიკის სამყაროს, აწვდიან მათ მუსიკალურ გემოვნებას, ეხმარება ანსაზღვრული მუსიციერების ჩვევების გამომუშავებაში.

II. დასაქმების სფერო

შემსრულებელ-ილუსტრატორი (კონცერტმასტერი) შეიძლება დასაქმდეს სკოლისგარეშე სასწავლო მუსიკალური დაწესებულებაში, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში, სამუსიკო ან ფართო პროფილიანი ხელოვნების ცენტრებში, სტუდიებში, მუსიკალურ თეატრებში, შემოქმედებით კოლექტივებში, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებში, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში. ილუსტრატორი/კონცერტმასტერი მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის გავლის შემდეგ შეიძლება დასაქმდეს მუსიკის მასწავლებლად სკოლისგარეშე სასწავლო მუსიკალური დაწესებულებებსა და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში.

III. დამატებითი მოთხოვნები

- მეხუთე საფეხურის პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა სრული ზოგადი განათლება
- შემოქმედებითი ტურების გავლა.

IV. საგანმანათლებლო პროგრამა და კვალიფიკაცია

შემსრულებელ-ილუსტრატორის (კონცერტმასტერის) საგანმანათლებლო პროგრამა არის ერთსაფეხურიანი (მეხუთე საფეხური). პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს ენიჭება შემსრულებელი-ილუსტრატორის (კონცერტმასტერის) მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია და გაიცემა შესაბამისი დიპლომი. შემსრულებელ-ილუსტრატორის (კონცერტმასტერის) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 180 კრედიტს. აქედან მინიმუმ 40% ეთმობა პრაქტიკას.

V. შემსრულებელ-ილუსტრატორის (კონცერტმაისტერი) მეხუთე საფეხურის კვალიფიკაციათა აღმწერი

<p>ცოდნა და გამოცდილება</p>	<p>აქვს პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებული მრავალმხრივი და პრაქტიკული ცოდნა. აცნობიერებს პროფესიული საქმიანობის შესაძლებლობებს (საზღვრებს).</p>	<p>აქვს საშემსრულებლო სირთულეების დამლევის ცოდნა. იცის ტრანსპონირება, სოლისტის პარტიის და აკომპანემენტის შეერთება, მუსიკალური ტექსტის თავისუფალი კითხვა, ფურცლიდან; გააჩნია მუსიკალური ნაწარმოების შინაარსის, კომპოზიციური აღნაგობის, მუსიკალური ფაქტურის სპეციფიკის, პოეტური ტექსტის, სიტყვისა და მუსიკის ურთიერთკავშირის, სოლისტის პარტიის თავისებურებების გახსნის უნარი; აქვს სხვადასხვა ინსტრუმენტებზე დაკვრის თავისებურებების, პარტიტურის კითხვის, ვოკალური ხმების დიაპაზონის, საანსამბლო წონასწორობის მიღწევის ხერხების ცოდნა; აქვს პროფესიული აზროვნების ისეთი დონე, რომელიც საკონცერტო შესრულების დროს სტრატეგიის სწრაფ არჩევანს და კრეატიულ გადაწყვეტილებებს უზრუნველყოფს; აქვს მუსიკალური ენის სტრუქტურისა, ჰარმონიის კურსის და ფორმაქმნადობის პრინციპების ცოდნა; აქვს მუსიკალური კულტურის განვითარების ისტორიის, მუსიკალური ჟანრების, ძირითადი სტილური მიმართულებების, ეროვნული ტრადიციების თავისებურებების, ქართული და უცხოელი კომპოზიტორების შემოქმედებითი ბიოგრაფიების ცოდნა.</p>
<p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</p>	<p>შეუძლია შემეცნებითი და პრაქტიკული უნარების ფართო სპექტრის გამოყენება აბსტრაქტული პრობლემების შემოქმედებითად გადასაწყვეტად.</p>	<p>ფლობს საკრავს იმ ფარგლებში, რომელიც მისცემს საშუალებას პროფესიულ დონეზე გაუწიოს აკომპანიატორობა სოლისტს (ინსტრუმენტალისტს, ვოკალისტს), გუნდს, ინსტრუმენტულ/ვოკალურ ანსაბლს; შეუძლია ტრანსპონირება, სოლისტის პარტიის და აკომპანემენტის შეერთება, მუსიკალური ტექსტის თავისუფალი კითხვა,</p>

		ფურცლიდან აკომპანირება; ფლობს ანსამბლური შემსრულებლობის პრაქტიკულ ფორმებს; აქვს მუსიკის გაკვეთილის, რეპეტიციის ჩატარების და საკონცერტო გამოსვლის პრაქტიკული ჩვევები; პრაქტიკულად იყენებს პროფესიული მოღვაწეობის სფეროს შესაბამის სპეციალურ მუსიკალურ ლიტერატურას; პრაქტიკულ საქმიანობაში იყენებს პროფესიულ ტერმინოლოგიას; აქვს სასწავლო-შემოქმედებითი პროცესის მეთოდური უზრუნველყოფის უნარი.
დასკვნის უნარი	შეუძლია კარგად განსაზღვრული პრობლემების ამოცნობა, მათი გადაჭრისათვის სათანადო მონაცემების იდენტიფიცირება და ანალიზი სტანდარტული მეთოდების გამოყენებით, ასევე დასაბუთებული დასკვნების გაკეთება.	აქვს პროფესიული საქმიანობის დაგეგმვის და წარმართვის უნარი; აქვს კრიტიკული აზროვნების უნარი; შეუძლია საკუთარი და სხვისი მოღვაწეობის შეფასება; აქვს პრაქტიკული პრობლემების ანალიზის და მათი გადაწყვეტის უნარი.
კომუნიკაციის უნარი	შეუძლია იდეებისა და ინფორმაციის სტრუქტურირებულად და თანმიმდევრულად გადაცემა სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის ხარისხობრივი და რაოდენობრივი ინფორმაციის გამოყენებით. იყენებს თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს. შეუძლია უცხოურ ენაზე პროფესიასთან დაკავშირებული ინფორმაციის გადაცემა და ანგარიშის წარდგენა	აქვს კოლექტივში მუშაობის უნარი; შეუძლია ანსამბლის სხვადასხვა ასაკის, შემოქმედებითი ნიჭის, ხასიათის პარტნიორთან ურთიერთდახმარებისა და ურთიერთგაგების საფუძველზე თანამშრომლობა; მზად არის ღია კონტაქტებისათვის მოსწავლეების მშობლებთან; პროდუქტიულად თანამშრომლობს კოლეგებთან, პატივისცემით ეპყრობა განსხვავებულ აზრს; შეუძლია პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებული (რეპერტუარი, ლიტერატურა) ინფორმაციის მოძიება სხვადასხვა წყაროებიდან, თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით; ფლობს ქართული სალიტერატურო ენის ნორმებს, წერითი და ზეპირი მეტყველების სპეციფიკას, აქვს უნარი ააგოს საკუთარი მეტყველება კომუნიკაციური და ეთიკური ნორმების შესაბამისად; ფლობს უცხო ენას პროფესიული ამოცანების რეალიზაციისათვის.
სწავლის უნარი	შეუძლია საკუთარი სწავლის მიმართულებების განსაზღვრა ცვალებად და გაუთვალისწინებელ ვითარებაში.	აქვს სპეციფიკური სამუსიკო შემოქმედებითი მონაცემები, რომელიც საშემსრულებლო და პედაგოგიურ სფეროში ახალი ცოდნის მიღების საშუალებას აძლევს; აქვს თვითგანათლების, კვალიფიკაციის ამაღლების უნარი; შეუძლია პროფესიული წინსვლის მიზნით სწავლის სამომავლო მიმართულებების დამოუკიდებლად განსაზღვრა და დაგეგმვა.
ღირებულებები	აფასებს თავისი და სხვების დამოკიდებულებას პროფესიული	გაცნობიერებული აქვს თავისი საქმიანობის მნიშვნელობა; ნებისმიერ სიტუაციაში იცავს მოსწავლეებთან და პარტნიორებთან ურთიერთობის

	<p>საქმიანობისათვის დამახასიათებელი ღირებულებებისადმი და უზიარებს სხვებს.</p>	<p>ეთიკურ ნორმებს. აქვს შემოქმედებითი და მხატვრული ღირებულებანი და ზრუნავს მათ განვითარებაზე. გაცნობიერებული აქვს ანსამბლური მუსიკირების სპეციფიური ღირებულებები, რაც ვლინდება პარტნიორების ურთიერთდამარებასა და ურთიერთგაებაში.</p>
--	---	--